საქართველოს პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

№ 98/2

17 სექტემბერი, 2013 წელი

**საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ"**
**(N07-3/233, 12.09.2013)**

*(ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)*

დასახელება

| ინიციატორი | ავტორი |
|---|---|
| საქ. პარლამენტის წევრი შ. შავგულიძე | საქ. პარლამენტის წევრი შ. შავგულიძე |

იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

| შემოსვლის თარიღი | საკომიტეტო მოსმენის სავარაუდო თარიღი | პლენარულ სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი |
|---|---|---|
| 12. 09. 2013. | წამყვან კომიტეტზე - 17.09 - 20.09 | 18.09 – 20.09 |

კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე

მურმან დუმბაძე

საქართველოს
პარლამენტი

# საქართველოს პარლამენტის ბიუროს
# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№98/8

2013 წელი, 17 სექტემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1.საქართველოს პარლამენტის წევრის შალვა შავგულიძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის შალვა შავგულიძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (N07-3/233, 12.09.2013) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3.საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 17 სექტემბრის №98/2 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

მურმან დუმბაძე